თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1627056

ნომერი: AR1270379

თარიღი : 03.12.2014

გაცემის თარიღი : 04.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ზურაბ აბულაძე , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ინესა სტარრენ პ/ნ 01030018586
- თბილისი სამრეკლოს I შეს. N 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 დეკემბრის №1597737 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 3 დეკემბერს #AR1270379 განცხადებით მომართა ინესა სტარრენმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 2 დეკემბრის №1597737

ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის არქიტექტურის 2014 წლის 2 დეკემბრის №1597737 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 1 მაისის #122795 ბრძანებაში და დამკვეთად ინესა ესაიანის ნაცვლად მიეთითა ინესა სტარრენ, თუმცა აქტში ტექნიკური შეცდომის გამო ინესა სტარრენ–ის ნაცვლად დაფიქსირდა ინესა სტარრენი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით არის საფუძვლიანი უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ინესა სტარრენის 2014 წლის 3 დეკემბერს #AR1270379 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 2 დეკემბრის №1597737 ბრძანებაში, კერძოდ აქტის სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.05.2012 წლის #122795 ბრძანებაში და დამკვეთად ინესა ესაიანის ნაცვლად მიეთითოს ინესა სტარრენ;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას 2014 წლის 2 დეკემბრის №1597737 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.